

მერაბ თხელიძე, გიორგი სიბაშვილი

**ჭადრაკი ოსტატებისათვის
თამაში ტაბიებიდან**

თამაში დასწრებაზე, დებიუტების დაგეგმილი ცვლა, დებიუტების
ჩაკეტილი სისტემა

წიგნი I (ორ წიგნად)



თბილისი

2021

რეცენზენტები:

თორნიკე სანიკიძე - საერთაშორისო დიდოსტატი, საქართველოს ქალთა ოლიმპიური გუნდის მწვრთნელი.

დავით ჯანოვი - საერთაშორისო სპორტის ოსტატი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი.

რედაქტორები:

ქეთევან ნანობაშვილი - პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ჰამლეტ მელაძე - ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს განათლების ეროვნული აკადემიის წევრი.

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

ძვირფასო მკითხველო!

თქვენს წინაშეა წიგნი, რომლის მსგავსი საჭადრაკო სამყაროში დღეისთვის არ არსებობს. ის განკუთვნილია ჭადრაკის ოსტატისთვის, რომელსაც უნდა გააგრძელოს აღმასვლა ჭადრაკის ოლიმპისაკენ და მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს.

ეს არის ამ წიგნის ავტორების, ბაბუისა და შვილიშვილის, როგორც ისინი ეძახიან ერთმანეთს, თეორიტიკოსის - მერაბ თხელიძის და პრაქტიკოსის - გიორგი სიბაშვილის მიზანი.

ოსტატების გარდა ამ წიგნის გამოყენება შეუძლიათ ჭადრაკის მწვთნელებს, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოჭადრაკეებს და ყველა დაინტერესებულ ჭადრაკის მოყვარულს.

გავიცნოთ წიგნის ავტორები!



მერაბ თხელიძე

დაიბადა 1939 წელს ქ.თბილისში. დაამთავრა თბილისის №1 საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სწავლა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. არის ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკისა და ჭადრაკის პროფესორი, ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, მსოფლიოს მოყვარულ მოჭადრაკეთა მეორე ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს სპორტის აკადემიაში, თბილისის ილიას უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში. მისი ვიწრო სპეციალიზაცია მათემატიკაში არის „კომპიუტერის მათემატიკური უზრუნველყოფა, გამოყენებითი მათემატიკა და მოდელირება“.

მერაბ თხელიძის 1953-2017 წლებში საჭადრაკო

შეჯიბრებებში მიღწეული

მნიშვნელოვანი შედეგების ნუსხა:

№	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	შეჯიბრების დასახელება	შედეგი
1	1953 წლის ივნისი	ბათუმი	საქართველოს მოსწავლეთა გუნდური პირველობა ხუთ დაფაზე, მეხუთე დაფა	7-დან 7 ქულა. I ადგილი
2	1955 წლის სექტემბერი	თბილისი	თბილისის მამაკაცთა პირველობის ნახევარ-ფინალი	12-დან 10 ქულა. I-III ადგილი
3	1957 წლის 26 ივნისი-10 ივლისი	ბორჯომი	საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი	15-დან 12 ქულა. I ადგილი
4	1958 წლის ნოემბერი	თბილისი	თბილისის მამაკაცთა პირველობის ნახევარ-ფინალი	13-დან 12,5 ქულა. I ადგილი
5	1959 წელი	თბილისი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატი	15-დან 12,5 ქულა. I ადგილი
6	1961 წელი	თბილისი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატი	I ადგილი
7	1963 წლის 21 თებერვალი-23 მარტი	თბილისი	მამაკაცთა საქართველოს ჩემპიონატის ფინალი	19-დან 12 ქულა. II-IV ადგილები
8	1963 წლის 4-27 მაისი	თბილისი	ამიერკავკასიის ჩემპიონატი	15-დან 9 ქულა. V-VI ადგილი. სსრკ სპორტის ოსტატის ნორმა 8,5 ქულა

9	1964 წელი	თბილისი	თბილისის ჩემპიონატის ნახევარ-ფინალი	13-დან 11,5 ქულა. I-II ადგილი
10	1963 წლის 18 დეკემბერი - 1964 წლის 9 იანვარი	თბილისი	ნსს „ქარიშხალას“ საქართველოს ჩემპიონატი	12-დან 9,5 ქულა. I-II ადგილი
11	1966 წლის ივლისი	ხარკოვი	საკავშირო გუნდური პირველობის ნახევარ-ფინალი უმაღლეს სასწავლებლებს შორის რვა დაფაზე. მეექვსე დაფა	7-დან 6,5 ქულა. I ადგილი
12	1966 წლის 18 ივლისი - 1 აგვისტო	მინსკი	საკავშირო გუნდური პირველობის ფინალი უმაღლეს სასწავლებლებს შორის რვა დაფაზე. მეექვსე დაფა	7-დან 5,5 ქულა. I ადგილი
13	1967 წელი	თბილისი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატი	I ადგილი
14	1969 წელი	თბილისი	თბილისის ჩემპიონატის ნახევარ-ფინალი	10-დან 7,5 ქულა. I-V ადგილი
15	1970 წლის დეკემბერი	თბილისი	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიონატი	12-დან 10 ქულა. I ადგილი
16	1972 წლის 17-27 ოქტომბერი	თბილისი	საკავშირო თამაშების ფინალი სტუდენტურ გუნდებს შორის. III დაფა	7-დან 5,5 ქულა. I ადგილი
17	1986 წლის 8-30 იანვარი	თბილისი	ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშების ფინალი	15-დან 12,5 ქულა. I ადგილი
18	1987 წლის თებერვალი	პალანგა	საკავშირო ღია ფესტივალი „პალანგა-87“	7-დან 6,5 ქულა. I ადგილი
19	1987 წლის ივლისი	კლაიპედა	საკავშირო ღია ფესტივალი „კლაიპედა-87“	10-დან 6,5 ქულა. I-II ადგილები
20	1987/88 წლები	თბილისი	ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშების ფინალი	17-დან 12,5 ქულა. I ადგილი

21	1995 წლის 31 მარტი - 2 აპრილი	თბილისი	საქართველოს პირველობა აქტიურ ჯადრაკში ორმოც წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა შორის	9-დან 7 ქულა. I ადგილი
22	1996 წლის 28 დეკემბრიდან 1997 წლის 5 იანვრამდე	დიდი ბრიტანეთი, ჰასტინგსი	მოყვარულთა მსოფლიო მეორე ჩემპიონატი ჯადრაკში	9-დან 8 ქულა. II ადგილი
23	2009 წლის 21-29 აგვისტო	ქობულეთი	საერთაშორისო საჯადრაკო შეჯიბრება „ქობულეთი - 2000“	9-დან 7 ქულა. I ადგილი
24	2004 წლის 20-26 სექტემბერი	თბილისი	სენიორთა საქართველოს ჩემპიონატი	7-დან 6 ქულა. I ადგილი
25	2005 წლის 10-19 აპრილი	თბილისი	თბილისის ჩემპიონატი (ცალკე ითვლება სენიორთა შედეგები)	9-დან 5,5 ქულა. I ადგილი სენიორებს შორის
26	2005 წლის 31 მაისი - 9 ივნისი	თბილისი	საჯადრაკო ფესტივალი „ნონას თასი - 2005“ (ცალკე ითვლება სენიორთა შედეგები)	9-დან 5,5 ქულა. I ადგილი სენიორებს შორის
27	2006 წლის 15-28 აგვისტო	თბილისი	სენიორთა საქართველოს ჩემპიონატი	10-დან 6,5 ქულა. III ადგილი

1987-2005 წლებში ასწავლიდა სახალხო უნივერსიტეტში. 2005 წლიდან 2012 წლამდე იყო საქართველოს ჯადრაკის ფედერაციის გამგეობის საკვალი-ფიკაციო და ეთიკური კომისიების თავჯდომარე.



გიორგი სიბაშვილი

დაიბადა 1998 წლის 8 აპრილს თბილისში.

ევროპის ორგზის პრიზიორი, მრავალგზის გამარჯვებული საქართველოს ასაკობრივ კატეგორიებსა და საერთაშორისო ტურნირებში. საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის ჭადრაკის სპეციალიზაციის მაგისტრანტი.

შესავალი

ჭადრაკი აღმოცენდა როგორც სამხედრო თამაში. უძველესი ინდური ჭადრაკი-**ჩატურანგა**-ოთხი სახეობის ჯარის ბრძოლის იმიტაცია იყო: „ჩატურ“-ოთხი, „ანგა“-ჯარის ნაწილი. დაფაზე ფიგურების წყობა უძველესი ინდური ჯარის სახეობების განლაგების სქემას წააგავდა: ქვეითი ჯარი, მხედრობა, სპილოები, ეტლები. ჩატურანგას ოთხთა თამაშას უწოდებდნენ.

VII-VIII საუკუნეებში ჩატურანგა გავრცელდა მთელს აღმოსავლეთში, მაგრამ უკვე შეცვლილი სახით. ახალ თამაშს **შატრანგა** ეწოდებოდა, რაც ორის თამაშს ნიშნავს. შატრანგი თანამედროვე ჭადრაკის წინაპარია. ის სწრაფად გავრცელდა შუა აზიის მეზობელ ქვეყნებში, ინდოეთში კი შეცვალა თავისი წინამორბედი.

შატრანგის ეპოქაში შემოიღეს პარტიის ჩაწერის წესი, შეიქმნა საჭადრაკო ამოცანები - მანსუბები. მოშატრანგის ძალის განმსაზღვრელად დაწესდა სხვადასხვა წოდება. უმაღლესს ალიას (დიდოსტატს) უწოდებდნენ. XIII საუკუნიდან ჭადრაკში იცვლება მოძრაობის წესები, თანდათან იხვეწება და ღებულობს ჭადრაკის თამაშის თანამედროვე სახეს. ჭადრაკი, რომელსაც ჩვენ ვთამაშობთ, 350 წელიწადზე მეტი ხნისაა. გავიხსენოთ რომ რადგან შატრანგში თამაში მდორედ მიმდინარეობდა, ბრძოლას იწყებდნენ გარკვეული სადებიუტო პოზიციებიდან - **ტაბიებიდან**.

წიგნში ტერმინ ტაბიას ვიყენებთ ჩვენს მიერ დამუშავებულ დებიუტებში მიღებული კრიტიკული პოზიციების აღსანიშნავად, რომლებშიც თეთრებს ან უპირატესობა აქვთ, ან პოზიცია თანაბარია ან გვაქვს რთული მწვავე თამაშია. დამოუკიდებელ შემოქმედებით თამაშს შესწავლილი ტაბიებიდან ვიწყებთ.

როგორ შევძელით ამის მიღწევა? სწორედ ეს არის მოთხრობილი წინამდებარე წიგნში. დავსვათ მეორე კითხვა: მოწინააღმდეგე რომ იყოს

შეიარაღებული ამ წიგნში მოცემული ცოდნით, ან სხვა ანალოგიური ცოდნით, მაშინ რა მოხდება და როგორ მოვიქცეთ? ჩვენი პასუხი ასეთია: თუ თქვენი მეტოქე თქვენსავით შრომისმოყვარეა, ფლობს იმდენ ცოდნას მაინც რაც ამ წიგნშია მოცემული (და თქვენი მწვრთნელია მერაბ თხელიძე, იხუმრა გიორგიმ), მივიღებთ რთულ, მწვავე ორმხრივ შანსებიან თამაშს და ვინც უფრო ძლიერია დაე გაიმარჯვოს!

ბოლოს მივმართავთ ყველა ჩვენს მკითხველს და პირველ რიგში ახალგაზრდა ოსტატებს მსოფლიო მეთორმეტე ჩემპიონის **ანატოლი კარპოვის** სიტყვებით: „ჭადრაკი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ ჩემი ცხოვრება მარტო ჭადრაკი არ არის“.

პატივისცემით ავტორებისაგან.

თავი I. პოზიციის შეფასების მეთოდოლოგია

§1. პოზიციის შეფასება დებიუტში

განვიხილოთ სიტუაცია: მოცემულია კონკრეტული სადებიუტო ტაბია და გვთავაზობენ ავირჩიოთ რომელ მხარეს გვინდა თამაშის გაგრძელება და რატომ?

ცხადია, სწორი არჩევანის გასაკეთებლად საჭიროა ჯერ შევავალსოთ მოცემული პოზიცია. გამოვიყენოთ პოზიციის შეფასების მეთოდოლოგია მოცემული [6]-ში, ან სხვა შესაბამის ლიტერატურაში. პოზიციის შეფასებას ვიწყებთ ე.წ. სტატიკური ფონის შეფასებით. გამოვიყოფთ ექვს სტატიკურ ელემენტს:

1) **მატერიალური თანაფარდობა:** მატერიალური უპირატესობის შემთხვევაში, შევეცადოთ თამაშის გამარტივება. მატერიალური დანაკლისის შემთხვევაში, შევეცადოთ თამაშის გართულებასა და გამწვავებას.

2) **მეფეთა მდგომარეობა.** მათი მდგომარეობა განსაზღვრავს თამაშის გეგმას: იერიში ან დაცვა. თუ მეფე უსაფრთხოდაა, მაშინ საჭიროა სხვა ობიექტის მოძებნა.

3) **ღია ხაზები:** ვერტიკალები, დიაგონალები, ჰორიზონტალები. მათ გასაკონტროლებლად ან დასაპყრობად ვიყენებთ მძიმე ფიგურებს და კუებს.

4) **ფიგურების განვითარება და განლაგება.**

5) **ცენტრი:** ვინ აკონტროლებს ან უპყრია ცენტრი.

6) **პოზიციის თავისებურებები:** ძლიერი და სუსტი პუნქტები და უჯრები, ჩამორჩენილი პაიკები, პაიკთა კუნძულები და სხვა. მათი არსებობა განაპირობებს ღირს თუ არა ენდშპილში გადასვლა. ამ ელემენტების მიხედვით ვაკეთებთ დასკვნას მიღებული პოზიციის სტატიკური ფონის შესახებ.

პოზიციის შეფასების მეორე ეტაპია **დინამიკა**. შემდგომი თამაში დამოკიდებულია პირველი ეტაპიდან სწორი დასკვნების გამოტანაზე.

თანაბარი ძალის ექსტრა-კლასის მოჭადრაკეების შეხვედრების დროსაც კი პოზიციის უფრო სწორად და ღრმად შეფასება წარმოადგენს წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. ბუნებრივია, რომ უფრო დაბალ დონეზე პოზიციის შეფასების ხვედრითი წონა გაცილებით დიდია.

პოზიციის დინამიკის გააზრება დაკავშირებულია კონკრეტულ გათვლებთან და სვლა-კანდიდატების მოძიებასთან, რომლებიც ყველაზე ზუსტად შეესაბამება პოზიციის ფონს. აქ მივაღწევთ საკითხს: როგორია მოჭადრაკის კომბინაციური ხედვის დონე. ეს დონე 70% მაინც უნდა იყოს. ამიტომ პოზიციის შეფასების მეთოდის შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს ტაქტიკური ხედვის დონის შემოწმება საჭიროების შემთხვევაში მისი ამაღლება და სისტემატიური ვარჯიში. მაგალითად(7); [13]) ან სხვა შესაბამისი ლიტერატურით.


მართალია საჭადრაკო პოზიციები განუმეორებელია, რადგან ყველას აქვს თავისი სპეციფიკური განსაკუთრებულობა, მაგრამ არსებობს ცნობილი ტრადიციული მეთოდები და ხერხები თანაბარ, უარეს და უკეთეს პოზიციებში თამაშისათვის. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ჭადრაკში მსოფლიო პირველი ჩემპიონის ვილჰელმ სტეინიცის სიტყვები: „ვისაც უპირატესობა აქვს, ვალდებულია დაიწყოს იერიში უპირატესობის დაკარგვის მუქარის გამო.“

§2 უკეთეს პოზიციებში თამაშის მეთოდისა სადებიუტო ტაბიდან მიტელშპილში გადასვლის დროს თამაშის ძირითადი ხერხებია:

- 1) მუქარების თანდათან გაძლიერება იმ მიზნით, რომ არ მივცეთ მოწინააღმდეგეს საშუალება აღმოფხვრას ჩამორჩენა განვითარებაში.
- 2) მეფეზე გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა.
- 3) მასალის შეწირვით მეფის პოზიციის გახსნა შეტევისთვის.
- 4) თამაშის გახსნა სწრაფი მოგების მისაღწევად.
- 5) მოწინააღმდეგის აქტიური ფიგურების გაცვლა.

მაგალითი 1

განვიხილოთ პოზიცია, პარტიიდან ვინტერი - ალიოხინი, ნოტინგემი 1936.



თეთრების მე-16 სვლაა
შევაფასოთ ეს პოზიცია:
დავიწყოთ სტატიკური ფონით.

- 1) **მატერიალური თანაფარდობა:** ტოლობაა.
- 2) **მეფეთა მდგომარეობა:** პირდაპირი შეტევის თვალსაზრისით მათ ჯერ არაფერი ემუქრებათ. პერსპექტივაში თეთრების მეფის პოზიცია უარესია, რადგან მისი პოზიცია დასუსტებულია C3 - ის გამო.
- 3) **ღია ხაზები:** პოზიციაში არის ერთი ღია „e“ ვერტიკალი, რომელიც ჯერ არცერთი მხარის მიერ არ არის დაკავებული. მისი დაკავება უფრო მალე შავებს შეუძლიათ.
- 4) **ფიგურების განვითარება და განლაგება:** ყველა ფიგურა განვითარებულია. მძიმე ფიგურები განლაგებულია თითქმის სიმეტრიულად. თუ თეთრები შეძლებენ f4-f5 გატარებას, მაშინ მათი ფიგურები მიიღებენ მეტ სივრცეს.
- 5) **ცენტრი:** თეთრები ფლობენ d4 პუნქტს, აკონტროლებენ e5 უჯრას, შავები ფლობენ d5 პუნქტს, აკონტროლებენ e4 უჯრას - თანაბარია.
- 6) **პოზიციის თავისებურებები:** თეთრების ძლიერი უჯრებია e5 და e5. დასუსტებულია ლაზიერის ფლანგის უჯრები. სუსტია e3 პუნქტიც. შავების ძლიერი უჯრებია c4 და e4, სუსტი უჯრებია e5 და f6 - თანაბარია.

დასკვნა სტატიკური შეფასებიდან:

პოზიცია თანაბარია. ოდნავ უკეთესია შავების პოზიცია, რადგან მათ სისუსტეები არა აქვთ და უფრო ადრე შეუძლიათ ღია „e“ ვერტიკალის დაკავება. აქედან გამომდინარე, უნდა დამუშავდეს თამაშის გეგმები, რომლის საფუძველი უნდა იყოს „e“ ხაზის დაუფლების მცდელობა. ყოველივე ამას სჭირდება კონკრეტული გათვლები. ვნახოთ როგორ განვითარდა თამაში.

დინამიკა: თეთრებმა ითამაშეს 16. Ehf1 ...


შავებმა კონკრეტული გათვლის საფუძველზე გადაწყვიტეს f4-f5 სვლისთვის ხელის შეშლა 16...h5 17.f5 h4 18.f6 Eg8 19. Eh1 Ee8 იდეით Ee6 პაიკის მოგებით.

პარტია ასე გაგრძელდა: 16...h5 17. Eg1 h4 18. E3e2 E5 19. E3 f6 ახლა შავები აპირებენ „e“ ხაზის დაპყრობას.

თეთრებს რომ პოზიცია სწორად შეეფასებინათ, მათ უნდა დაეწყოთ „e“ ხაზის დაკავება: 16. Ehe1 სვლით და შემდეგ, E1f1 , E1d2 , E1f3 -ით, რაც იძლეოდა თანაბარ თამაშს. პარტია კი ასე გაგრძელდა 20. $\text{Eh2?!$ Ede8 21. E1d2 Ee6 22. E1g4 Ehe8 23. Ede1 E8e7 და შავები იპყრობენ „e“ ხაზს. 24. E1d1 Ee8 25. E3f3 E1a5 26. b3 (არ ვარგა 26. E3d5? Ee2 27. Ee2 Ee2 28. E3a5 E1g3 29. E3f3 Ee4) 26... E1c4! არ ვარგა 27. bc? E3a4+ -ის გამო. თეთრებმა არ მიიღეს შეწირვა, თუმცა დანებდნენ 10 სვლის შემდეგ).

მაგალითი 2.

ლარსენი-სპასკი, საუკუნის მატჩი, 1970 წელი.



შავების მე-10 სვლაა.


ცუდად გათამაშებული დებიუტის გამო შავებმა გაუსწრეს თეთრებს განვითარებაში ორი ტემპით ♖c3 და 0-0-0. შავები თამაშობენ ისე, რომ მათი ყოველი სვლა შეიცავს კონკრეტულ მუქარას, რომლის მოგერიებისათვის თეთრებს სჭირდებათ დრო და ისინი ვერ ასწრებენ განვითარების დამთავრებას. პარტია გაგრძელდა შემდეგნაირად: 10...♗g4! (♠ ♗h4 12. g3 ♗h3)11.g3 h5 (♠h4)12.h3 h4!13.hxg4 hxg3 14.♗g1 ♗h1!!15.♗xh1 g2!16.♗f1 ♗h4 და შავებმა მოიგეს.

§3 უარეს პოზიციებში თამაშის მეთოდოლოგია სადებიუტო ტაბიდან მიტელშპილში გადასვლის დროს თამაშის ძირითადი ხერხებია:

- 1) არ დავასუსტოთ საკუთარი მეფის პოზიცია.
- 2) კონტრშეტევა დაცვის საუკეთესო გზაა.
- 3) მოწინააღმდეგის შემტევი ფიგურების გაცვლა.
- 4) ბრძოლის ხასიათის მკვეთრი შეცვლა მოწინააღმდეგისათვის უპირატესობის რეალიზაციის გართულების მიზნით.
- 5) პოზიციის გამწვავება მისი დაცვისთვის.
- 6) მოწინააღმდეგის გატყუება სწორი გეგმიდან.
- 7) მოწინააღმდეგის უგეგმო თამაშის გამოყენება.

მაგალითი 3

გილმაიო - ალიოხინი, პრალა 1931.



შავების 31-ე სვლაა.

შავებმა აზარტულად ითამაშეს დებიუტში, დაიწყეს გაუმართებელი შეტევა მოწინააღმდეგის მეფეზე, დაკარგეს პაიკი და მიიღეს უარესი პოზიცია. მათი პოზიცია იმითაც მძიმდება, რომ თეთრებს აქვთ უპირატესობის რეალიზაციის აშკარა გეგმა: წინ გასწიონ გამსვლელი „a“ პაიკი, ღია „c“ და „d“ ვერტიკალები კი გამოიყენონ ცენტრში დარჩენილ შავ მეფეზე შეტევისათვის.

შავები ცდილობენ მკვეთრად შეცვალონ ბრძოლის მსვლელობა: გადადიან ხან „ყრუ“ დაცვაში, ხან იმუქრებიან კონტრშეტევით. პარტია შემდეგნაირად გაგრძელდა: 31...♖6g7! 32.a4 ♗g6 33.h3 ♗f8 34.♙b5 ♙e6 35.♙c4 ♙c8 36.a5 ♗e6 37.a6 ♗d4 38.♖xd4 exd4 39.♙d5 ♙e6! 40.a7 ♖a8 41.♗c4 ♖g5 42.♗c6 ♙xd5 43.exd5 ♖gg8 44.♗e2 ♖g8 45.♗xd4? თეთრები აქამდე კარგად უმკლავდებოდნენ შავების მიერ წარმოქმნილი ამოცანების გადაჭრას, მაგრამ ბოლო სვლა უზუსტობაა. საჭირო იყო [45.♗d3 ♗f5 46.♗c4] და შავების პოზიცია ძალიან მძიმე იქნებოდა. პარტია ასე გაგრძელდა: 45...♙xb4 46.♗xc7+? მეორე უზუსტობაა, უკეთესი იყო [46.♖e2+ ♗f8 47.♗f6] 46.♗xc7+?-ზე პარტია ასე გაგრძელდა: 46...♗f8 47.♗c6 ♗xd5 48.♗xb4 ♗b5+ 49.♗bd3 ♖xd3 50.♗xd3 ♗xd3+ 51.♗g1 ♗b1+ 52.♗h2 ♗xa2 53.♗b8+ ♖xb8 54.axb8♗+ ♗g7 55.♗xf4 ♗g6 და მეტოქეები მალე შეთანხმდნენ ყაიმზე.

§4. თანაბარ პოზიციებში თამაშის მეთოდიკა მიტელშპილში გადასვლის დროს


თანაბარ პოზიციებში თამაშის ძირითადი ხერხი ლავირებაა ანუ ხანგრძლივი მანევრირება, რომლის მიზანია არ დაასუსტოს საკუთარი პოზიცია და გამოიწვიოს მოწინააღმდეგის პოზიციაში სისუსტეების წარმოქმნა. ლავირება ადგილზე ტკეპნა კი არ არის, არამედ მიზანმიმართული მოქმედებაა, რომელიც აიძულებს მოწინააღმდეგეს განალაგოს თავისი ფიგურები არასასარგებლო პოზიციებზე ან წავიდეს თავის ბანაკში რაიმე სისუსტის შექმნაზე. ლავირება მოითხოვს პოზიციის განსაკუთრებით ღრმა წვდომას, უნარს გარეგანი კეთილდღეობის ქვეშ დაინახოს დაფარული ხარვეზები, რომლებმაც მომავალში შეიძლება გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ პარტიის შედეგზე, ეს უნარი გააჩნიათ ყველაზე მაღალ კვალიფიკაციის მოჭადრაკეებს შორისაც კი მხოლოდ ზოგიერთებს.

თამაშის ძირითადი ხერხებია:

- 1) მანევრები საკუთარი ფიგურების განლაგების გასაუმჯობესებლად.
- 2) მანევრები მოწინააღმდეგის პოზიციაში სისუსტეების შესაქმნელად და დასაფიქსირებლად.
- 3) უგემო მანევრები გზაა წაგებისკენ.

მაგალითი 4

ლარსენი - ფიშერი, მონაკო 1967.



თეთრების მე-14 სვლაა.

თეთრების პოზიცია უფრო აქტიურად გამოიყურება, მაგრამ პოზიციის შეფასება გვიჩვენებს, რომ პოზიცია თანაბარია.

მართლაც, პოზიციის დინამიკიდან გამომდინარე, თეთრების უპირატესობაა - მხედრების უფრო აქტიური განლაგებაა, თეთრი ეტლის ღია „d“ ხაზზე დგომა. მაგრამ მხედრები გაიცვლება ან გაიდევნება, ხოლო ღია ხაზი განეიტრალდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თეთრები უნდა გადასულიყვნენ ლავირებაზე, რომლის მიზანი იქნებოდა „d“ ხაზის და საკვანძო d5 პუნქტის დაუფლება. მაგალითად შემდეგნაირად: 14. ♖d2, 15. ♜ad1, b4, ♔c3 და ა.შ. ლარსენი ირჩევს ტაქტიკურ გზას ამ ამოცანების გადასაწყვეტად და თამაშობს **14.c5 ♔xc5 15.♞d8+ ♚f8** [15...♞e8? 16.♞xe8+ ♔xe8 17.♚xc5 bxc5 18.♚c4!; 15...♔e8 16.♚xc5 bxc5 17.♔xc7 ♞xc7 18.♞xe8+ ♚f8 19.♔xh7!]

16.♔xa7 ♞xa7 17.♞xc8 ♚g7 18.f3 ♔e8 19.a3? თეთრები თანამიმდევრული არ არიან. მათი გეგმა უნდა გაგრძელებულიყო [19.♚xc5! bxc5 20.♞b8], „a“ პაიკის წინ გაწევაზე, თუმცა ამ

შემთხვევაშიც შავების ძლიერი პოზიცია ცენტრში და სხვადასხვა ფერის კუები არ იძლეოდნენ იმედს თეთრების მოგებაზე.


19...**♖d6** 20.**♜d8** (თეთრები უარს ამბობენ ყაიბზე, **♜b8-d8-c8**, **♜d7** და **♜d7-d6** გამეორებით და თამაშობენ მოგებაზე, ირკვევა რომ მათ ამის გეგმა არა აქვთ.) 20.**h6** 21.**♜h3** **♜e6** 22.**♜b8** **♜e8** 23.**♜xe8** **♜xe8** 24.**♙b5** პირველი უგეგმო სვლაა. პოზიცია კი რთულია და მოითხოვს სერიოზულ შეფასებას: შავები იმუქრებიან შავფეროვანი კუების გაცვლით და მხედრებით შავი უჯრების დაკავებას ცენტრში. ამის გასაწინააღმდეგად ყველაზე კარგი საშუალება იყო: **♜h3-f2-d3**, შემდეგ კი - **♜a1-c1-c3** და **b4**.

24...**♜d6** 25.**♙f1** **♜b7!** 26.**♜f2** **♙c5** 27.**♙xc5** **♜bxc5** 28.**♜d1!?**

(**♠** 28...**♜d4** 29.**f4** **f6**) 28...**h5!** 29.**♜d5** **♙f6** 30.**h4** **♙e7** 31.**♙c4** [31.**♜xe5?** **c6** და 32...**♜d7**] 31...**c6** 32.**♜d2** **♜d4** 33.**♙f1** **f5** 34.**b4** [34.**exf5** **♜xf5** **♠** **♜e3** და **♜h4**] 34...**b5** 35.**♙g8** **fxe4** 23.**fxe4** [36.**bx5?** **e3!** 37.**♜xd4** **exd4** 38.**♜d3** **♜xa3**] 36...**♜d7** 37.**♜d3** **♜a6** 38.**♜c3** **c5** 39.**g4?** თეთრები ცაიტნოტში არიან. საჭირო იყო 39..**bx5**, თუმცა 39..**b4**-ის შემდეგ 40.**♜c1** **bx3** თეთრების პოზიცია მძიმეა. 39...**c4** და შავებმა მიიღეს დაცული გამსვლელი პაიკი. თეთრები დამარცხდნენ 62-ე სვლაზე.

მაგალითი 5

კარპოვი - ულმანი, მადრიდი 1973.



თეთრების მე-17 სვლაა.

შავები მიდიოდნენ ამ პოზიციაზე და თვლიდნენ, რომ თანაბარი თამაში აქვთ. მათი ფიგურები განლაგებული არ არიან უარესად, ვიდრე თეთრების ფიგურები, **d5** იზოლირებული პაიკი შუა თამაშში

არ წარმოადგენს სისუსტეს, მითუმეტეს ასეთივე პაიკი ექნებათ თეთრებს d4-ზე გაცვლის შემდეგ.


თეთრები უფრო ღრმად აფასებენ პოზიციას და თავიანთი გეგმით აჩვენებენ რომ შავების მიერ პოზიციის შეფასება ზუსტი არ არის. 17. **g3!** კუების გაცვლა დაასუსტებს ცენტრში შავ უჯრებს, რაც გამოაჩენს d5 პაიკის სისუსტეს 17. **g3 h3 18. hxg3a5?** შავები თვლიან, რომ მიაღწიეს თანაბარ პოზიციას და იწყებენ აქტიურ მოქმედებებს, რაც მცდარია. უმჯობესი იყო [18... **h4**] 19. **a4 h4** 20. **h4 h6** [თუ 20... **h2?** 21. **h5** და **h2**] 21. **h5!** (ახლა ირკვევა, თუ რატომ არ ვარგოდა 18... **a5**) 21... **h8** [თუ 21... **h4?** 22. **h8** **h2** 23. **h7+** **h7** 24. **h4** პაიკის მოგებით] 22. **g4!!** (შავები აპირებდნენ d4-ზე გაცვლას და 23. **f3**-ის შემდეგ **h6**-ის თამაშს, „ხაზის დასაკეტად. თეთრები ამ სვლით აღარ აძლევენ შავებს ამის საშუალებას) 22... **h4** 23. **h4 h4** 24. **cx4 h8** (თუ 24... **h8** 25. **f3** **g6** 26. **h3 h8** 27. **h1** და არ შეიძლება 27... **h7** შამათის გამო 28. **h8#** (თუ, 26... **f6**, მაშინ 27. **h1! h8** 28. **h3** **h3** 29. **h3** და თეთრები ეუფლებიან „c“ ხაზს). 25. **f3** **g6** 26. **h7** **h6** 27. **h1** **h6** 28. **h7** **h6** [28... **h8?** 29. **h8** **h8** 30. **h5** და თეთრები იგებენ d5 პაიკს]. 29. **h7** **h5** 30. **gxh5** **h5** 31. **g4** **g6** 32. **f4!** **h1+** 33. **h2** **h2+** 34. **h3** **h4** [34... **h6+**? 35. **h6** **h6** 36. **h6** **h7** 37. **h7+**] 35. **hx7** **g6** 36. **g5** **h7** 37. **h7** **h2** 38. **h8** **h3+** 39. **h2** **h2+** 40. **h1** **h6** 41. **hxg7+** **h8** 42. **h7** და შავები დანებდნენ.

გთავაზობთ წიგნის ავტორების რამდენიმე პარტიას
მაგალითი 6.

მერაბ თხელიძე - მიხეილ ბოტვინიკი, მსოფლიო
მეექვსე ჩემპიონი

ერთდროული თამაშის სეანსი საათებით რვა დაფაზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან. თბილისი, 1961 წლის 9 სექტემბერი, (დაწვრილებით იხილე [14]; [15]-ში). მორას მიუღებელი გამბიტი C21.

1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3!? d3 4.♟xd3 ♘c6 5.♚f3 (თეთრები თავს არიდებენ თეორიულ ვარიანტს: 5.c4 ♚f6 6.♚c3 d6 7.h3 g6 და ა.შ; ირჩევენ „საკუთარ“ ვარიანტს). 5...g6 6.0–0 ♟g7 7.♟c4!? 7.d6 8.♚a3 a6 9.♞e1 ♚f6 10.e5! dxe5 11.♞xd8+ ♚xd8 12.♚xe5 ♟e6 13.♟e3 ♞c8 14.♞ad1



პოზიციის სტატიკური ფონის შეფასება გვაძლევს:

- 1) მატერიალური თანაფარდობა - თანაბარი.
- 2) მეფეთა მდგომარეობა - თეთრების მეფე უსაფრთხოდაა. შავების მეფე ცენტრშია დარჩენილი (თეთრების უპირატესობა)
- 3) ღია ხაზები - პოზიციაში ერთი ღია - „d“ ვერტიკალია, რომელსაც თეთრები აკონტროლებენ (თეთრების უპირატესობა)
- 4) ფიგურების განვითარება და განლაგება - თეთრების ფიგურებს აქტიური პოზიციები უკავიათ. შავების ფიგურების პოზიციები უარესია (თეთრების უპირატესობა)
- 5) ცენტრი - კონტროლდება თეთრების მიერ.
- 6) პოზიციის თავისებურებები: თეთრებს სუსტი უჯრები არა აქვთ. შავების პოზიციაში სუსტია ლაზიერის ფლანგის შავი უჯრები. (თეთრების უპირატესობა)

დასკვნა: თეთრების პოზიცია უკეთესია, დინამიკა ასეთია: აქტიური მხარის, თეთრების გეგმა არ მისცენ შავებს დაამთავრონ განვითარება, დატოვონ შავი მეფე ცენტრში და ლაზიერის ფრთიდან შეიჭრან მათ პოზიციაში. შავების თავდაცვითი გეგმა უნდა იყოს თეთრების აქტიური ფიგურების გაცვლა, მეფის გაყვანა უხიფათო ზონაში და კონტრთამაში ცენტრში 14...♚e4 (14...0–0


15. b6 ; 14... b5 15. xe6 xe6 16. c2 e4 17. d7 c7 18. b6) 15. b6
 d6 16. b3 xb3 17. axb3 e6 18. ac4 xc4 19. xc4 (როგორც
 ვხედავთ მანევრმა 14... e4 ვერ განმუხტა სიტუაცია, მეფე კვლავ
 ცენტრშია. ამიტომ შავები ცდილობენ თეთრები ჩამოაცილონ
 ძირითადი გეგმის განხორციელებას, თუნდაც პაიკის შეწირვის
 ფასად). 19... c6 20. d3 f5 21. f3 f6 22. g3 h5 23. f2 f7 24. a5 c7
 25. b6 cc8 26. d7 h4 27. c4 c6 28. xb7 hxg3 29. hxg3 f4! ?
 (შავები ცდილობენ „ამღვრიონ“ სიტუაცია პოზიციის გამწვავების
 ხარჯზე, მაგრამ... 30. gxf4 h3 31. e3 xf4 32. bxe7+ xe7 33. e5+
 g8 34. xc6 h4 35. c7 g5 36. xf4 xf4 37. d3 g5 38. e7+ f7
 39. d5 e5 40. e3 d6 41. b4 a5! ? 42. bxa5 c5 43. g2 შავები
 დანებდნენ.

მაგალითი 7

მიხეილ ტალი, მსოფლიო მერვე ჩემპიონი - მერაბ
 თხელიძე (ო/კ)

ერთდროული თამაშის სენსი თერთმეტ დაფაზე საათებით
 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გუნდთან. თბილისი,
 1964 წლის 14 დეკემბერი.
 ესპანური პარტია, C78

1. e4 e5 2. f3 c6 3. b5 a6 4. a4 f6 5. 0-0 b5 6. b3 d6?!
 7. c3 g4 8. d4?! c8! [8... xf3 9. xf3 exd4 10. g3] 9. e1 a5 10. c2
 c5 11. dxe5! dxe5 12. bd2 e7 13. f1 0-0 14. e3 d8 15. e2 h5
 16. f5 c6 17. g5 h6



შევაფასოთ პოზიცია სტატისტიკური ფონის მიხედვით:

- 1) მატერიალური თანაფარდობა - თანაბარია.
- 2) მეფეთა მდგომარეობა - თეთრების მეფე უსაფრთხოდაა, შავების მეფე ოდნავ უარესად დგას (თეთრების უპირატესობა).
- 3) ღია ხაზები - პოზიციაში ერთი ღია „d“ ვერტიკალია, რომელსაც შავები აკონტროლებენ (შავების უპირატესობა).
- 4) ფიგურების განვითარება და განლაგება - ორივე მხარის ყველა ფიგურა განვითარებულია და თითქმის თანაბარი პოზიციები უკავიათ.
- 5) ცენტრი - კონტროლდება ორივე მხრიდან თანაბრად.
- 6) პოზიციის თავისებურებები - თეთრებს სუსტი უჯრები არა აქვთ, ძლიერია f5 და d5 პუნქტები. შავების სუსტი პუნქტებია d5 და f5, ძლიერი პუნქტებია c4, d4 და f4 (თანაბარია).


დასკვნა: პოზიცია თანაბარია, რთული ორმხრივი შანსებით. დინამიკა ასეთი უნდა იყოს: თეთრებმა ლავირების საშუალებით უნდა გააძლიეროს თავისი პოზიცია. მაგალითად 18. ♖xe7+ ♗xe7 19. ♘xf6 gxf6 20. ♛e3 ♜h7 21. ♞ad1 ♟g8. თეთრები ირჩევენ ტაქტიკურ გზას პრობლემების გადასაწყვეტად, რაც არ არის ადეკვატური პოზიციის შეფასებიდან გამომდინარე. 18. ♖xe5!? ♗xe2 19. ♖xc6 ♛e6 20. ♖fxe7+ ♜f8 21. ♖xd8 ♞xd8 22. ♘xf6 ♟d2! (ამ სვლას თეთრებმა არ მიაქციეს ყურადღება მე-18 სვლაზე კომბინაციის დაწყებისას) 23. ♘xg7+ ♜xe7 24. ♞ac1 ♛g4 25. ♗e5 h5 26. h3 ♛g5 27. ♗b8 h4 28. ♗d1 ♞xb2 29. f4 ♛g3 30. ♗xe2 ♛e3+ 31. ♜f1 ♞xe2 32. ♗d6+ ♜d7 33. ♞xe2 ♛xc1+ 34. ♞e1 ♛xc3 35. ♗e5 ♛d3+ 36. ♞e2 c4 37. ♗b2 c3 38. ♗c1 ♛b1 თეთრები დანებდნენ.

მაგალითი 8

მერაბ თხელიძე (საქართველო) - ელენა ჩისტიაკოვა (ს/ო, რუსეთი) 1998 წლის 29 ივლისი. ჩეხეთის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი. დეჩინი ტურნირი A.

ალიოხინის დაცვა B02

1. e4 ♖f6 2. ♖c3 d5 3. e5 d4 4. exf6 dxc3 5. fxg7 cxd2+ 6. ♗xd2 (მშვიდ თამაშს იძლევა 6. ♛xd2 ♛xd2+ 7. ♗xd2 ♗xg7 8. 0-0-0 ♗6... ♗xg7 7. ♛h5!? თეორია გვთავაზობს 7. ♛f3-ს). 7... ♛d4 8. ♖f3 ♛xb2 9. ♟d1 ♛xc2?! [ან 9... ♛xa2 10. ♛b5+ c6 11. ♛d3] 10. ♛d5 0-0 11. ♗d3 ♛c6 12. ♛h5 ♛e6+ 13. ♗e3 f5



შევაფასოთ მიღებული პოზიცია სტატეკური ფონის მიხედვით:

- 1) მატერიალური თანაფარდობა - თეთრებს ორი პაიკი აქვთ შეწირული (შავების უპირატესობა).
- 2) მეფეთა მდგომარეობა - თეთრი მეფის მდგომარეობა უსაფრთხოა, შავი მეფის მდგომარეობა უარესია, (თეთრების უპირატესობა).
- 3) ღია ხაზები - პოზიციაში ერთი ღია „d“ ვერტიკალია, რომელსაც თეთრები აკონტროლებენ. თეთრების ფიგურებს უფრო აქტიური პოზიცია უკავიათ (თეთრების უპირატესობა)
- 4) ფიგურების განვითარება და განლაგება - თეთრების როქის შემდეგ მათი ყველა ფიგურა თავმოყრილია ცენტრში. შავების ლაზიერის ფრთა განუვითარებელია. (თეთრების უპირატესობა)
- 5) ცენტრი - ცენტრში პაიკები არ გვაქვს. ის კონტროლდება თეთრების მიერ. (თეთრების უპირატესობა)
- 6) პოზიციის თავისებურებები - შავების ზედმეტ ორ პაიკს ჯერჯერობით პარტიის მსვლელობაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ადგილი აქვს დინამიკურ წონასწორობას.

დინამიკა ასეთი უნდა იყოს: თეთრების გადამწყვეტი შეტევა მეფე-ზე, შავების თავდაცვითი გეგმა თეთრების აქტიური ფიგურების გაცვლა და კონტრშეტევა ცენტრში.

14. ♖g5?? თეთრები უმძიმეს შეცდომას უშვებენ. [ამჟამად იყო მათი გეგმა: 14. 0-0 ♜g6 15. ♞h4] **14... ♟c3+** **15. ♜f1 ♜g6** **16. ♟c4+** **♜g7** **17. ♞f3 ♜c6** **18. h4 h6** **19. ♟f4 ♟e5** **20. ♟xe5+ ♜xe5** **21. ♜c3 ♞f6** **22. ♞e1 ♜g6** თეთრების პოზიცია ძალიან მძიმეა. ისინი ემებენ პოზიციის გართულების გზებს და თამაშობენ **23. ♜c1!?** (საკმარისია

შავები არ აყოლოდნენ ფიგურის მოგების ცდუნებას და უბრალოდ ეთამაშათ 23...e5, თეთრებს გაუჭირდებოდათ პარტიის გადარჩენა). 23. hxg5 24. hxg5 ♖d4 25. ♗d1 ♜f4 26. ♛c3+ ♜e5 27. ♗h7+ ♙xh7 28. ♜h3+ შავები დანებდნენ.


მაგალითი 9

ერენბერგ არიელი(ისრაელი) ს/დ - სიბაშვილი გიორგი
(საქართველო) ს/ო

„მსოფლიო ვარსკვლავები“ 20 წლამდე ასაკში ქ.პეტერბურგი,
რუსეთი 27.05.2015.

ბენონის ვარიანტი E00

1.d4 (ეს პარტია შავებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ გამარჯვებით საერთაშორისო ოსტატობის მესამე და ბოლო ნორმას ასრულებდა) ♗f6 2.c4 e6 3.g3 c5 4.d5 exd5 5.cxd5 d6 6. ♗f3 g6 7. ♗g2 ♗g7 8. 0-0 0-0 9. ♗c3 a6 10.a4 ♗e8 (გათამაშდა ბენონის ვარიანტის „გ3“ სისტემა) 11. ♗d2 ♗bd7 12.h3 ♗b8 (b5-ის იდეით) 13. ♗c4 ♗e5 14. ♗a3! (თეთრებმა უარი თქვეს მხედრების გაცვლაზე, რადგან აპირებენ f4 და e4-ის თამაშს და უნდათ მხედრის c4-ზე გადმოყვანა) ♗h5 15.e4[15.g4?! ♗xg4 16.hxg4 ♗xg4Δ ♜h4] 15. f5! 16.exf5 ♗xf5 17.g4 ♗xg4! 18.hxg4



შევაფასოთ მიღებული პოზიცია

დავიწყეთ სტატისკური ფონით:

- 1) მატერიალური თანაფარდობა - შავებმა შეწირეს ფიგურა (თეთრების უპირატესობა).

- 2) მეფეთა მდგომარეობა - თეთრი მეფე „შიშველია“, მასზე მიმდინარეობს შეტევა. შავი მეფე უსაფრთხოდ არის. (შავების უპირატესობა)
- 3) ღია ხაზები - პოზიციაში ერთი ღია „ე“ ვერტიკალია, რომელსაც აკონტროლებენ შავები. ისინი აკონტროლებენ a1-h8 დიაგონალს. თეთრები აკონტროლებენ c1-h6 და h1-a8 დიაგონალებს. (შავების უპირატესობა)
- 4) ფიგურების განვითარება და განლაგება - თეთრების ლაზიერის ფრთა განუვითარებელია, მხედრებს უკავიათ ცუდი პოზიციები. ფაქტობრივად მათი ყველა ფიგურა პარალიზებულია. შავების ყველა ფიგურა მზად არის აქტიური მოქმედებისთვის (შავების უპირატესობა).
- 5) ცენტრი - თეთრები ფლობენ d5 უჯრას, აკონტროლებენ d4 და e4 პუნქტებს. შავები ფლობენ e5 პუნქტს და აკონტროლებენ
- 6) d4-ს. (თანაბარია)
- 7) პოზიციის თავისებურებები - თეთრების ფიგურებს შორის კოორდინაცია არ არსებობს. შავების ფიგურები მოწინააღმდეგის მეფეზე თავდასხმისთვის მზად არიან. (შავების უპირატესობა)

დინამიკა ასეთი უნდა იყოს: აქტიური მხარის-შავების სტრატეგიაა გადამწყვეტი შეტევა მეფეზე. თეთრების თავდაცვითი გეგმა განვითარების დამთავრება და ძალების კონსოლიდაცია, შავების შეწირული მასალის დროულად უკან დაბრუნების ხარჯზე.

18...♖h4! 19.gxh5 ♜f8! ორი ფიგურის შეწირვის შემდეგ დამანგრეველი ძალის სვლაა, რომელიც არ უშვებს ♙f4-ს და იმუქრება ♜g4-ს. **20.♙g5! ♜xg5 21.♜e4 ♖h4 22.♜b3!** (კარგი რესურსი მონახეს თეთრებმა, ერთი ფიგურა უკან დააბრუნეს და ლაზიერი გადაყავთ g3-უჯრაზე h2-უჯრის დასაცავად. შავებს საკმარისად კარგი კომპენსაცია აქვს შეწირული ფიგურის ხარჯზე ♜f4 **23.♜fe1 ♜bf8 24.♜g3 ♜xh5 25.♜g5 ♜xe4 26.♜xh5 ♜xe1+ 27.♜xe1 gxh5 28.♜e2 ♜f4 29.♙e4 ♜f7 30.b3 ♜f3+ 31.♙xf3 ♜xf3 32.♜c4 ♙f8 33.♜e3 ♜f4 34.a5 ♜d4 35.♜g2 ♜f6 36.♜c4 ♜f7 37.♜e3 ♜d3 38.♜b2 ♙g7 39.♜b1 ♙c3 40.♜h1 ♜g6 41.♜h3 ♙e5 42.♜f3 ♜xb3 43.♜f8 h4 44.♜c8 ♙f4 45.♜c7 ♙xe3 46.fxe3 ♜xe3 47.♜xb7 ♜f5 48.♜xh7 ♜e5 49.♜a7 h3+ 50.♜h2 c4 51.♜e7+ ♜d4 52.♜e6 c3 53.♜xd6 c2 54.♜c6 ♜c3** თეთრები დანებდნენ.


მაგალითი 10

გიორგი სიბაშვილი (საქართველო) ს/ო - ვან
ფორესტი(პოლანდია) ს/დ

43-ე ოლიმპიადა. ბათუმი, საქართველო, 30.09.2018წ.

ძველინდური დაცვა E97

1.d4 ♠f6 2.c4 g6 3.♠c3 ♕g7 4.e4 d6 5.♠f3 0-0 6.♕e2 e5 7.0-0
♠c6 8.d5 ♠e7 9.♕e3 ♠d7 10.♠d2 f5 11.f3 a5 12.a3 ♖h8 13.b4 ♠g8
14.c5 ♕h6 15.♕xh6 ♠xh6 16.cxd6 cxd6 17.♠b5 ♠f6 18.bxa5 ♖xa5
19.♖b1 ♕d7




შევაფასოთ მიღებული პოზიცია.დავიწყოთ სტატისტიკური ფონით:

- 1) მატერიალური თანაფარდობა - (თანაბარია).
- 2) მეფეთა მდგომარეობა - უშუალო საფრთხე მათ არ ემუქრებათ. (თანაბარია).
- 3) ღია ხაზები - პოზიციაში ერთი ღია ხაზია - „c“ვერტიკალი და ნახევრად ღია ვერტიკალია „b“. თეთრები აკონტროლებენ f1-a6 დიაგონალს, შავები a4-e8-ს (ოდნავი უპირატესობა აქვთ თეთრებს)
- 4) ფიგურების განვითარება და განლაგება - მძიმე ფიგურები თითქმის ერთნაირად არიან განლაგებული, მსუბუქი ფიგურებიდან თეთრების მხედარი უფრო აქტიურია. (თითქმის თანაბარია).
- 5) ცენტრი - ჩაკეტილია. უპირატესობას ფლობენ თეთრები.
- 6) პოზიციის თავისებურებები - ორივე მხარეს აქვს იზოლირებული თითო პაიკი. შავების d6 პაიკი ჩამორჩენილია. (თეთრების უპირატესობა)

დასკვნა: თეთრების პოზიცია უკეთესია, ისინი ფლობენ ინიციატივას

დინამიკის შეფასება გვაძლევს: თეთრებმა უნდა ითამაშონ აქტიურად ლაზიერის ფლანგზე და ცენტრში. გამოიყენონ d6 პაიკის სისუსტე. გათვალონ ვარიანტები დაკავშირებული 20. მდ6-თან. შავების გეგმა აქტიური მოქმედებები ცენტრში და მეფის ფლანგზე, თეთრების აქტიური ფიგურების გაცვლა.

20. ♖xd6 ♗a4 21. ♖c1 ♖xd6 22. ♗c4 ♖c5+ 23. ♕h1 ♗f7 24. ♗xa5 ♖xa5 25. ♖xb7 ♗d6 26. ♖h6 ♖g8 27. ♖e7 ♖d8 28. ♖e6 ♗h5



29. ♖d2 ♗g7 30. ♖b4 ♗xe6 31. dxe6 ♗c2 32. ♖c5 ♗a4 33. ♖xe5+ ♖g7 34. ♖d4 ♗b3 35. ♖b1 ♗xe6 36. ♖d1 fxe4 37. fxe4 ♗b3 38. ♖xd6 ♖xd6 39. ♖xd6 ♖a7 40. ♖a6 ♖e7 41. ♕g1 ♖xe4 42. ♗f3 ♖e5 43. ♖a7 ♗d1 44. ♗xd1 ♖e1+ 45. ♕f2 ♖xd1 46. a4 ♖d2+ 47. ♕f3 h5 48. a5 ♖d5 49. ♕e4 ♖b5 50. a6 ♖a5 51. h4 ♕g8 52. ♕d4 ♕f8 53. ♕c4 ♕g8 54. ♕b4 ♖a2 55. ♕c5 ♖c2+ 56. ♕d5 ♖d2+ 57. ♕e5 შავები დანებდნენ.

მაგალითი 11

დავით ბრონშტეინი(1924-2006 წწ.)


ს/დ, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, 1951 წელს ითამაშა მატჩი მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონთან მიხეილ ბოტვინიკთან, რომელიც ფრედ, 12-ით-12 დამთავრდა.

1952 წლის 2 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო დიდოსტატმა დავით ბრონშტეინმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 30 დაფაზე, რომელშიც მერაბ თხელიძეც მონაწილეობდა. გთავაზობთ ამ პარტიას.

3. დავით ბრონშტეინი - მერაბ თხელიძე (ო/კ)

სიცილიური დაცვა. B40

1.e4 c5 2.ღf3 e6 3.d4 cxd4 4.ღxd4 ღf6 5.ღc3 ღb4 6.e5 ღe4 7.წg4 ღxc3 8.a3 წa5



9.axb4 (მივიღეთ ე.წ. სიცილიური შეტევა [9.წxg7 წf8 10.ღd3 ღc6 11.ღxc6 bxc6 12.ღd2 ღe7 13.ღxc3 წa4 14.0-0-0 წf4+])

9...წxe5+ მერაბ თხელიძე წერს [2]: „მახსენდება როცა ეს სვლა გავაკეთე ბრონშტეინმა ჩაიცინა და მითხრა, რა უცნაური ახალგაზრდა ხარ, ეტლს გთავაზობ, შენ კი პაიკს იღებო“.

10.ღe2 f5 11.წc4 ღxe2 12.წxc8+ ღf7 13.წxh8 ღxc1+ 14.ღd1 ღb3 15.cxb3 წd4+ 16.ღc1 წf4+ 17.ღb1 წe4+ 18.ღa2 ღc6 19.წxa8 ღxb4+ 20.ღa3 ღc2+ 1/2-1/2

§5. ენდშპილის პოზიციის შეფასების მეთოდის


მართალია ყოველ კონკრეტულ ენდშპილს აქვს თავისი კერძო კანონზომიერებები, მაგრამ ენდშპილის პოზიციის შეფასების მეთოდის ზოგადია ყველა ტიპის ენდშპილისთვის. ჩამოვყალიბოთ ეს მეთოდის დავიწყოთ სტატისტიკური ელემენტებით.

- 1) ფიგურების განლაგება - მნიშვნელოვანია მათი ფუნქცია - აქტიურ როლს ასრულებენ, თუ დაცვითი ფუნქცია აქვთ.
- 2) მეფეების პოზიციები - მრავალფიგურებიან ენდშპილში მათი უსაფრთხოების ხარისხი, ხოლო მცირეფიგურებიან ენდშპილში მათი აქტიურობა.
- 3) პაიკების განლაგება - გამსვლელი პაიკების არსებობა, გაორებული პაიკები, იზოლირებული პაიკები და. ა.შ.

გარეგნული მსგავსების მიუხედავად მიტელშპილისა და ენდშპილის პოზიციების შეფასების მეთოდოლოგია ერთმანეთისაგან განსხვავებულია. კერძოდ, მიტელშპილის პოზიციის შეფასების დროს შეიძლება დადგეს საკითხი, გადავიდეთ თუ არა ენდშპილში. არასწორმა გადაწყვეტილებამ შეიძლება რასაც ველოდით, იმის საწინააღმდეგო შედეგი მოგვცეს. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ პოზიცია შემდეგი პარტიიდან.

მაგალითი 12

პლანიცი-ველიმროვიჩი. იუგოსლავიის ჩემპიონატი, 1975წელი.



თეთრების 25-ე სვლა

ეს პარტია ჟურნალმა Шахматный информатор-მა დაასახელა წლის საუკეთესო პარტიად.

თეთრებმა შეაფასეს პოზიცია და აირჩიეს თავდაცვითი გეგმა 25. კc1 სვლით. ისინი თვლიდნენ, რომ ენდშპილში გადასვლით უფრო ადვილად დაიცავდნენ თავს.

ჩავატაროთ მოცემული პოზიციის შეფასება და შევამოწმოთ რამდენად სწორია თეთრების გადაწყვეტილება. დავიწყოთ სტატიკური ფონით.

- 1) **მატერიალური მდგომარეობა** - შავებს ორი პაიკი აკლიათ (თეთრების უპირატესობა)
- 2) **ცენტრი** - თეთრები ფლობენ d5 პუნქტს, აკონტროლებენ e4 უჯრას. შავები აკონტროლებენ e5 და d4 უჯრებს (თეთრების მცირე უპირატესობა)
- 3) **ფიგურების განვითარება და განლაგება** - შავების ლაზიერი და ეტლი უფრო აქტიურები არიან ვიდრე თეთრების, შავების ორივე კუ უფრო აქტიურია თეთრ კუებთან შედარებით. (შავების უპირატესობა)
- 4) **მეფეების პოზიციები** - თეთრი მეფის პოზიცია არამყარია. შავი მეფე უსაფრთხოდაა. (შავების უპირატესობა)
- 5) **ღია ხაზები** - თეთრებს აქვთ ნახევრადღია „e“ ვერტიკალი, აკონტროლებენ g1-a7 დიაგონალს. შავები აკონტროლებენ „a“ ვერტიკალს, აქვთ ნახევარღია „c“ ვერტიკალი, აკონტროლებენ a1-h8 დიაგონალს. (შავების უპირატესობა)
- 6) **უჯრები და პუნქტები** - თეთრების e4 უჯრა სუსტია, შავების ლაზიერის ფრთის შავი უჯრები დასუსტებულია (თითქმის თანაბარია).

დასკვნა: ელემენტების შეფასების მიხედვით შავების პოზიცია უკეთესია, ღირს თუ არა მათი ინიციატივა შეწირულ ორ პაიკად, ესაა გადასაწყვეტი.

დინამიკია ასეთია: შავების გეგმა ნათელია - გაბედული შეტევა მეფეზე. თეთრების თავდაცვითი გეგმა ენდშპილში გადასვლაა. ამისთვის მათ ჯერ უნდა გააქტიურონ თავისი ფიგურები და შემდეგ იფიქრონ გაცვლებზე. ამის მიღწევა შეიძლება 25.♖d1! სვლით, რომელიც იცავს თეთრებს უშუალო საშამათო მუქარისაგან და ააქტიურებს კუს. შავების საუკეთესო 25...♞d6-ზე, თეთრებმა შეიძლება აირჩიონ შემდეგი ორი გაგრძელებიდან ერთ-ერთი: 26.♞f3 ♞a6 27.♙c1 ♙xb2+ 28.♗xb2 ♞a1+ 29.♙d2 ♞xh1 30.h3 ♞a1 31.♗d3 ან 26.g4 ♞xd5 27.♞g1 ♞a5 28.♙c1 მისაღები თამაშით.

პარტია ასე გაგრძელდა: 25.♙c1b5 26.♗e4 ♞a6 27.c3 ♙xc3!
28.♗xc3 ♙f5+ 29.♗e4 ♞a2+ 30.♙c2 ♞c8+ 31.♙d2 ♞xb3 32.♞d3 ♞b4+

33.♔e3 ♖c4 34.♟f6+ exf6 35.♞a3 ♜e4+ 36.♔f2 ♞d4+ 37.♔g3 ♞xd5
 38.♞f3 ♞e6 39.♞d1 ♔g7 40.♞d3 ♖c4 41.♞e3 ♙e4 42.♞e2 ♞f5 43.♖c3
 ♞a4 44.♞d2 ♞a7! 45.♞e3 ♞d7 46.♖c5 ♞e6 47.♔f2 ♞d6 48.b4 ♙b7
 49.h3 ♞d1 და თეთრები დანებდნენ.

თავი II. თამაშის მეთოდები მიტელშპილის ტიპიურ პოზიციებში

მიტელშპილის ტიპური პოზიციების კლასიფიკაციის ძირითადი საფუძველია პაიკების კონფიგურაცია დაფის ცენტრში. განვიხილოთ ეს პოზიციები და მათში თამაშის მეთოდები.

§1 თამაშის გეგმები ჩაკეტილი ცენტრის შემთხვევაში


აქტიური გეგმა - მოწინააღმდეგის დასუსტებულ ფლანგზე პაიკების შტურმი საკუთარი მეფის პოზიციის გაუთვალისწინებლად. შტურმი გზას უხსნის მძიმე ფიგურებს, შეტევის დროს ხშირად ფიგურებსაც სწირავენ თავდაცვის უსწრაფესად დანგრევისთვის.

თავდაცვითი გეგმა - კონტრდარტემის მომზადება ცენტრში ან კონტრშეტევა მეორე ფლანგზე, გამაგრებული პუნქტების შექმნა მოწინააღმდეგის პაიკთა მოძრაობის გზაზე.

მაგალითი 13

კარპოვი - გლიგორიჩი. მილანი, 1975. ესპანური პარტია. C78

1.e4 e5 2.♟f3 ♟c6 3.♙b5 a6 4.♙a4 ♟f6 5.0-0 ♙e7 6.♞e1 b5
 7.♙b3 0-0 8.c3 d6 9.h3 ♟b8 10.d4 ♟bd7 11.♟bd2 ♙b7 12.♙c2 ♞e8
 13.♟f1 ♙f8 14.♟g3 g6 15.a4 c5 16.d5 ♟b6 17.♞e2!



სიახლე, სპეციალურად მომზადებული ამ შეხვედრისთვის. ის აიძულებს შავებს გაარკვიონ პოზიცია ლაზიერის ფლანგზე.

17...ღxa4 18.ღxa4 bxa4 19.ღxa4(ცენტრი ჩაიკეტა. თეთრები აპირებენ გაატარონ გარღვევა b4 მათთვის საუკეთესო სიტუაციაში. შავები ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ გეგმას)**ღg7 20.c4 ღc8 21.ღd2 ზb8 22.ზb1 ზe7 23.ღe1 ზeb7 24.ღd3 ზb3 25.ღba1 ღe8 26.ღc3 ზh4**(თეთრები იმუქრებოდნენ**27.ღc1 ზ3b6 28.ღa5**, ეხლა კი **27.ღc1-**ზე შეიძლება **ღ3b6**) **27.ღ4a3 27...f5 28.ღe1 ზe7 29.ღxb3 ზxb3 30.ღc1 ზb8 31.ღd3 ზb3 32.f3 ზg5** (შავები ვერ უძლებენ ლავირებას და ცდილობენ პარტია გადაიყვანონ ტაქტიკური გართულების გზაზე **33.ღf1-d2**-ზე, უპასუხოვნ**33... fxe4 34.fxe4 ღxh3**. უკეთესი იყო შავებს **32...ღd7**-ით გაეგრძელებინათ ბრძოლა **b2-b4** ის წინააღმდეგ).

33.ღh2ღf6 34.ღc2 ზb8 35.b4 fxe4 36.ღxe4 ღxe4 37.fxe4 ზe3 (აქ რომ თეთრებს ეთამაშათ **38.ღf2 ზxe4 39.ღe1 ზf5 40.g4 ზf3 41.ღe3 ზf7 42.bxc5**, მარტივად მოიგებდნენ) მათ ითამაშეს **38.bxc5** და მოიგეს 50-ე სვლაზე.

§2 თამაშის გეგმები მოძრავი ცენტრის შემთხვევაში

ამ შემთხვევაში ერთ მხარეს ცენტრში აქვს პაიკები, მეორე მხარეს კი არა. თამაში მიმდინარეობს ცენტრის გაძლიერებაზე და მის წინააღმდეგ, ხშირად ერთი ტემპიც კი შეიძლება გადამწყვეტი გახდეს.

აქტიური გეგმა - შემტევი მხარე ცდილობს წინ გაწიოს პაიკები, ამით შეავიწროვოს მოწინააღმდეგის პოზიცია, შექმნას გამსვლელი პაიკი ან ბრძოლა გადაიტანოს ფლანგზე.

თავდაცვითი გეგმა - მთავარია პაიკების ცენტრის ბლოკადა. გამოუთხარონ პაიკების ჯაჭვს ძირი და გაანადგურონ ცენტრი. როგორც წესი, ძალიან იშვიათია ფლანგური შეტევები.

მაგალითი 14

ალიოხინი - მარშალი. ბადენ-ბადენი, 1925.

ლაზიერის გამბიტი

1.d4 d5 2.c4 ღf6?! 3.cxd5 ღxd5 4.e4 ღf6 5.ღd3 e5 6.dxe5 ღg4 7.ღf3 (არ ვარგოდა**7.f4?** ღc5 **8.ღh3 ზh4+** და 0-0-ით, შავები პაიკის საფასურად მიიღებდნენ აქტიურ პოზიციას) **7...ღc6 8.ღg5!** (**8.ღf4 ღb4**)**8...ღe7 9.ღxe7 ზxe7 10.ღc3 ღcxe5 11.ღxe5 ზxe5** (შესაძლებელია **11...ღxe5**)**12.h3 ღf6 13.ღd2!** (თუ **13.0-0** მაშინ

13...g5. ახლა კი 13...g5-ზე 14. 0-0-0 და შავების მეფის ფლანგის დასუსტება გამართლებული არ იქნება) **13...♙d7 14.♚e3!** (არ აძლევს შავებს ითამაშონ 14...0-0-0 და ზღუდავს მათი ლაზიერის მოძრაუნარიანობასაც). **14...♗c6 15.0-0-0 0-0 16.f4 ♚e6** (თუ 16...♚a5, მაშინ 17.e5 ♖d5 18.♗xd5 ♙xd5 19.♙xh7+ ♔xh7 და 20.♚d3+) **17.e5 ♜fe8 18.♜he1 ♞ad8 19.f5 ♚e7 20.♚g5 ♖d5 21.f6 ♚f8 22.♙c4! ♗xc3 23.♞xd8 ♞xd8 24.fxg7 ♖xa2+** (24...♚e8? 25.♙xf7+ ♔xf7 26.♜f1+ ♔e6 27.♜f6+ ♔d5 28.♜f8+—) **25.♔b1 ♚e8 26.e6 ♙e4+ 27.♔a1 f5** (27...fxe6 28.♙xe6+ ♚xe6 29.♚xd8+ ♔xg7 30.♚d4+) **28.e7+ ♞d5 29.♚f6 ♚f7 30.e8♚**+შავები დანებდნენ.

რა შეიძლება ვთქვათ ამ პარტიის შესახებ? შავების სუსტმა სვლამ **♗f6?!** საშუალება მისცა თეთრებს შეექმნათ ძლიერი მოძრავი ცენტრი. შავები **5...e5!** სვლით შეეცადნენ დაერღვიათ ცენტრი, მაგრამ შემდეგ წამოიწყეს ოპერაციები ფლანგზე **11...♚xe5** და **g5**, რაც არასწორი გამოდგა. ამას მოყვა თეთრების ცენტრის სწრაფი წინსვლა და შავების კატასტროფა.

§3 თამაშის გეგმები ღია ცენტრის შემთხვევაში

ღია ცენტრი- ცენტრში პაიკები არ არის. ეს შეიძლება მივიღოთ ლაზიერის გამბიტიდან, ესპანური პარტიიდან, მეფის გამბიტიდან. ამ ტიპის პოზიციებს შეესაბამება მანევრულ-ფიგურული თამაში ცენტრალური ხაზებისა და ცენტრალური უჯრების დასაუფლებლად.

აქტიური გეგმა - აქტიური მხარე ცდილობს ლავირებით შექმნას მოწინააღმდეგის ფლანგებზე სისუსტეები, რის შემდეგაც უნდა განახორციელოს ფიგურული შეტევა დასუსტებულ ფლანგზე. პაიკების შტურმი ძალიან იშვიათად გვხვდება.


თავდაცვითი გეგმა - საჭიროა დამცველმა მხარემ დაიცვას სუსტი უჯრები, ფლანგი და არ დაუშვას პოზიციის დასუსტება.

მაგალითი 15

რეტი - ალიოხინი. ბადენ-ბადენი, 1925წ.

1.g3 e5 2.♗f3 e4 3.♖d4 d5 4.d3 exd3 5.♚xd3 ♖f6 6.♙g2 ♙b4+ 7.♙d2 (არ ვარგა 7.c3?! რადგან e4-ის შემდეგ დასუსტდება d3 პუნქტი) **7...♙xd2+ 8.♗xd2 0-0 9.c4 ♖a6 10.cxd5 ♖b4 11.♚c4 ♖bxd5 12.♖2b3 c6 13.0-0 ♜e8 14.♜fd1 ♙g4 15.♞d2 ♚c8 16.♖c5 ♙h3! 17.♙f3** (17.♙xh3? ♚xh3 18.♖xb7 ♖g4 19.♖f3 ♖de3 20.fxe3 ♖xe3 21.♚xf7+ ♔h8 22.♖h4 ♜f8—) **17...♙g4 18.♙g2 ♙h3 19.♙f3 ♙g4 20.♙h1 h5!**

21.b4 (საჭირო იყო 21.a4 და 22. ♖a3, რითაც დაიცავდნენ გ3 პუნქტს, შემდეგ ♖b3-ით განეხორციელებინათ დაწოლა ლაზიერის ფლანგზე. თეთრებმა კი აირჩიეს შემტევი გეგმა, „პაიკთა უმცირესობით“ ლაზიერის ფლანგზე. ის კარგია სტატიკური ცენტრის პირობებში, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი ღია ცენტრის დროს)**21...a6 22.♖c1 h4 23.a4 hxg3 24.hxg3 ♖c7 25.b5** (თანმიმდევრულია, მაგრამ ცუდი გეგმაა. ჯობდა 25.e4 ♗b6 26.♗b3 და თეთრები მოასწრებდნენ მომზადებას შეტევის დასახვედრად)**25...axb5 26.axb5 ♖e3!**



27.♗f3 [27.fxe3 ♖xg3+ 28.♗g2 ♗xe3 შამათით; ჯობდა - 27.♗f3] **27...cxb5 28.♗xb5** [28.♗d4 ♖a4] **28...♗c3! 29.♗xb7 ♗xb7** [არ შეიძლება 29...♗xe2+?! 30.♖xe2 ♗xb7 31.♖xe3 ყაიმის შანსებით]

30.♗xb7 ♗xe2+ 31.♗h2 [31.♗f1? ♗xg3+ 32.fxg3 ♗xf3 33.♗xf3 ♖xf3+ 34.♗g2 ♖aa3 35.♖d8+ ♗h7 36.♖h1+ ♗g6 37.♖h3 ♖fb3--]

31...♗e4! 32.♖c4 ♗xf2 33.♗g2 ♗e6! (10 სვლიანი კომბინაციის დასაწყისია, რომლითაც შავები იგებენ ფიგურას) **34.♖cc2 ♗g4+ 35.♗h3 ♗e5+ 36.♗h2 ♖xf3! 37.♖xe2 ♗g4+ 38.♗h3 ♗e3+ 39.♗h2 ♗xc2 40.♗xf3 ♗d4!** (თეთრები დანებდნენ, რადგან **41.♖e3 ♗xf3+ 42.♖xf3 ♗d5** მხედარი იკარგება).

